განკარგულება:**g-31. 31241492**
თარიღი:**28/05/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №27

2024 წლის 28 მაისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2024 წლის 18 აპრილის N 5/22274 მომართვის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, სახელმწიფოს (შემდგომში მის მიერ, მოთხოვნილი ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით) უსასყიდლოდ გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აკეთში N27.03.43.362.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება (ფართი N1 14.00 კვ.მ, ფართი N2 5.10 კვ.მ., ფართი N3 31.10 კვ.მ.).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი